2.6 *კონტრაქტორი* არ არის უფლებამოსილი მიიღოს დამატებითი სარგებელი, გარდა წინამდებარე *ხელშეკრულებით* გათვალისწინებულისა;

2.7 *კონტრაქტორმა* უნდა დაიცვას და იმოქმედოს დანართებში დადგენილი კალენდარული გეგმის მიხედვით. ნებისმიერი გადაცდენა თუ ეს გამოწვეულია კონტრაქტორის გამო CHF-ის მიერ განიხილება, როგორც ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების უგულებელყოფა;

2.8 *კონტრაქტორს* არც *ხელშეკრულების* მოქმედების პერიოდში და არც მისი ნებისმიერი მიზეზით შეწყვეტის შემდეგ 5 წლის განმავლობაში არა აქვს უფლება გაამჟღავნოს *დამკვეთის* საქმიანობასთან, ფინანსებსა თუ გარიგებებთან დაკავშირებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა წინამდებარე *ხელშეკრულების* მოქმედების განმავლობაში.

2.9 ამ *ხელშეკრულების* დასრულებისთანავე და/ან

…r upon the termination of this *Contract* …ther time, if the *Client* shall so request, …r shall deliver to the *Client* all the … concerning the business, finances or … *Client*.

…horized officers of the *Client* are hereby … control and supervise work performed … provided by the *Contractor* throughout …m of the present *Service*.

## 3. TERMINATION

… This *Contract* shall be terminated upon its … *Date*, as indicated in Clause 2.1 above, … *Parties* opt to renew it through a new …eement within 5 days prior to such … *Date*.

…actor does not carry out the obligation … this contract the *Client* may unilaterally … *Contract* at any time at its sole discretion …g the notice of termination to the …5 days prior to such termination. The … hereby gives an unconditional and … consent to any such termination. In such … *Contractor* shall only be entitled for the … for the services already provided;

…ntractor may terminate this *Contract* by …or written notice of termination to the … material reason for termination exists and … the *Contractor* ensures that the *Client* shall …eceive the services stipulated herein. … reason is material shall be determined by …reement of the *Parties*.

## …SCELLANEOUS PROVISIONS

… *Contract* shall be governed by and … accordance with Georgian law.

…rties shall attempt to resolve amicably any …en out of or in connection to this … case of a failure to reach such amicable … the dispute shall be referred to and finally …on by the courts of Georgia.

… of the provisions of this *Contract* may be …celled, modified or amended except in … signed by authorized representatives of …. All such waivers, cancellations,

ნებისმიერ სხვა დროს, *დამკვეთის* მოთხოვნის საფუძველზე, *კონტრაქტორი* ვალდებულია მიაწოდოს *დამკვეთს* მთელი დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია ამ უკანასკნელის საქმიანობასა და ფინანსებთან.

2.10 *დამკვეთის* შესაბამისი თანამდებობის პირები უფლებამოსილნი არიან *ხელშეკრულების* მოქმედების მთელი ვადის განმავლობაში გააკონტროლონ და ზედამხედველობა გაუწიონ *კონტრაქტორის* მიერ სამუშაოების შესრულებას და მომსახურების გაწევას.

## 3. ხელშეკრულების შეწყვეტა

3.1 წინამდებარე *ხელშეკრულება* შეწყდება *დასრულების თარიღის* დადგომისას, 2.1 პუნქტის შესაბამისად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც *მხარეები დასრულების თარიღის* დადგომამდე 5 დღის განმავლობაში წერილობით შეთანხმდებიან *ხელშეკრულების* გაგრძელების თაობაზე.

3.2 თუ *კონტრაქტორი* ვერ ასრულებს ამ *კონტრაქტით* ნაკისრ ვალდებულებას *დამკვეთი* უფლებამოსილია ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ ცალმხრივად შეწყვიტოს *ხელშეკრულება*, *კონტრაქტორისათვის* ხუთი (5) დღით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. *კონტრაქტორი* აცხადებს უპირობო და შეუქცევად თანხმობას ნებისმიერ ამგვარ შეწყვეტაზე. ასეთ შემთხვევებში *კონტრაქტორი* მიიღებს მხოლოდ გაწეული მომსახურების/შესრულებული სამუშაოს საზღაურს.

3.3 *კონტრაქტორი* უფლებამოსილია მხოლოდ მნიშვნელოვანი საფუძვლის არსებობისას შეწყვიტოს წინამდებარე *ხელშეკრულება* *კონტრაქტორისათვის* წინასწარ გადაცემული წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და იმ პირობით, რომ იგი უზრუნველყოფს *დამკვეთის* მიერ ამ *ხელშეკრულებით* გათვალისწინებული მომსახურების სრულყოფილად მიღებას. მნიშვნელოვანია თუ არა საფუძველი გადაწყდება *მხარეთა* ურთიერთშეთანხმებით.

## I. სხვადასხვა

4.1. წინამდებარე *ხელშეკრულება* შედგენილია, განიმარტება და რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით.

4.2. *მხარეები* შეეცდებიან მორიგების გზით გადაწყვიტონ მათ შორის ამ *ხელშეკრულებასთან* დაკავშირებით წარმოქმნილი ან მისგან გამომდინარე ნებისმიერი დავა. იმ შემთხვევაში, თუ ასეთი გზით დავის მოწესრიგება არ მოხერხდა, დავა საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცემა საქართველოს უფლებამოსილ სასამართლოს.

4.3. ამ *ხელშეკრულებას* არც ერთი პუნქტი არ შეიძლება გაუქმდეს, შეიცვალოს ან მასზე უარი ითქვას *მხარეთა* უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის გარეშე.

...nd amendments shall be integral part

...adings in this *Contract* are for ...purposes only and shall not affect the ... of this *Contract*.
...act constitutes the entire agreement ...ding of the *Parties* and supersedes all ...esentations, agreements and ... between the *Parties* with respect to ...tter hereof.

...ovision of this *Contract* is or becomes ...nforceable at any time, such invalidity ...bility shall not affect the validity and ... of any of its remaining provisions. If ... provision is a material provision of ... the *Parties* agree to re-negotiate such

...tract is executed in two (2) original ... – one for each *Party* – each containing ... and Georgian versions. In case of any ... between the two versions, English ... prevail.

*...al complies with U.S. Executive Order ... Terrorist Financing issued by U.S. President ... on September 24, 2001, which effectively ...tions with persons who commit, threaten to ...port terrorism. Any person or entity that ... his bidding process, either as a prime or sub to ...s that he or it is not on the OFAC SDN ...ible to participate. Any bid received by a ... that is found to be on the list or otherwise ... discarded.*

*... is reminded that U.S. Executive Orders and ...its transactions with, and the provision of ... support to, individuals and organizations ... terrorism. It is the legal responsibility of the ... compliance with these Executive Orders ... This provision must be included in all ...rds issued by the Recipient under this*

*... is null and void if it is determined that the ... in the past or in the future fails to comply with ... Order, or it is determined that the Recipient ... owners or partners are listed on the OFAC*

ნებისმიერი ამგვარი უარი, გაუქმება თუ ცვლილება მიიჩნევა ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

4.4. სათაურები ხელშეკრულებაში გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობის მიზნით და გავლენას არ ახდენს წინამდებარე ხელშეკრულების განმარტებაზე.
4.5. ეს ხელშეკრულება წარმოადგენს მხარეთა შორის არსებულ მთლიან შეთანხმებას და ცვლის და აუქმებს მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე არსებულ ყველა განცხადებასა და შეთანხმებას.

4.6 იმ შემთხვევაში, თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ნებისმიერ დროს ძალადაკარგულად გამოცხადდება ან განუხორციელებელი შეიქნება, ამგვარი ძალადაკარგულობა და განუხორციელებლობა არ მოახდენს გავლენას ხელშეკრულების დანარჩენი დებულებების იურიდიულ ძალასა და განხორციელებადობაზე. თუ ძალადაკარგული დებულება იქნება ხელშეკრულების არსებითი პირობა, მაშინ მხარეები თანხმდებიან, თავიდან მოილაპარაკონ ამგვარ პირობებზე.

4.7 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ (2) ორიგინალ ეგზემპლარად – თითო თითოეული მხარისათვის – რომელთაგან ყველა მათგანი შეიცავს ინგლისურ და ქართულ ტექსტებს. ინგლისურ და ქართულ ტექსტებს შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ინგლისურ ვარიანტს.

*CHF* ინტერნეიშენალ/საქართველო ეთანხმება აშშ-ის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის მიერ 2001 წლის 24 სექტემბერს გამოცემულ აშშ მთავრობის აღმასრულებელ ბრძანებას №13224 ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ, რომელიც კრძალავს ტრანზაქციებს იმ პირებთან, რომლებიც ახორციელებენ ტერორისტულ აქტებს, ან იმუქრებიან ტერორისტული აქტების ჩადენის საშიშროებას, ან მხარს უჭერენ ტერორიზმს. ასეთ შემთხვევაში მონაწილე ნებისმიერი პირი ან ორგანიზაცია, ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელი პირისა თუ ამ პირისადმი დაქვემდებარებული წარმომადგენლის სახით, ადასტურებს, რომ იგი არ იმყოფება აშშ-ის უცხოურ აქტივთა ოფისის (OFAC) მიერ განსაკუთრებულად აღნიშნული და დაბლოკილი პირების სიაში (SDN List) და აქვს ასეთ ტრანზაქციაში მონაწილეობის უფლება. ნებისმიერი შემოთავაზება, რომელსაც აღნიშნულ სიაში ნაბეჭდი ან სხვაგვარად შეუსაბამოდ გამოცხადებული პირი ან ორგანიზაცია მიიღებს, უარყოფილი იქნება.
1) მიმღები აცნობიერებს, რომ აშშ-ის აღმასრულებელი ბრძანებებით და კანონებით იკრძალება ტერორიზმთან დაკავშირებულ პირებთან თუ ორგანიზაციებთან ტრანზაქციების დადება და მათთვის რესურსების მიწოდება თუ მხარდაჭერის გაწევა. მიმღების იურიდიული პასუხისმგებლობაა, უზრუნველყოს ამ აღმასრულებელ ბრძანებებთან და კანონებთან შესაბამისობა. ამ შეთანხმების თანახმად, ეს დებულება უნდა დაერთოს მიმღების მიერ გამოცემულ ყველა ხელშეკრულებასა და ქვეგრანტს.
2) წინამდებარე ხელშეკრულება ძალადაკარგულად ჩაითვლება, თუ დადგინდა, რომ მიმღებმა წარსულში ვერ დააკმაყოფილა, ან მომავალში ვერ დააკმაყოფილებს აღმასრულებელი ბრძანების მოთხოვნებს, ან თუ აღმოჩნდა, რომ მიმღები და/ან მისი აგენტები, მფლობელები ან პარტნიორები იმყოფება აშშ-ის უცხოურ აქტივთა ოფისის (OFAC) მიერ

განსაკუთრებულად აღნიშნული და დაბლოკილი პირების სიაში (SDN List).

...S WHEREOF, The *Parties* hereto ... this *Service Contract* on the date ... above.

რის დასტურად, მხარეებმა ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას მომსახურეობის შესახებ ზემოთ მითითებულ თარიღზე.

...alf of the *Client*:

...uzian
...tor,
...onal/Georgia

_______________

დამკვეთის სახელით;

ნუბარ გუდუზიანი
წარმომადგენლობის დირექტორი,
**CHF ინთერნეიშენალ /საქართველო**

ხელმოწერა: _______________

...alf of the *Contractor*:

...omsheni"

...Central branch, service center #33;

_______________

კონტრაქტორის სახელით:

**სს „აჭარკაპმშენი"**
ს/ნ: 245423778

ბანკის რეკვიზიტები
საქართველოს ბანკის ცენტრალური ფილიალის სერვის ცენტრი
№33;
კოდი: 220101502
ა/ა: 121550400

ხელმოწერა: _______________

37

1a, Margiani street, Tbilisi, Georgia
Tel:(995) 317641/ 329548

08/10/BV/EST/004

Design for the orphanage in Surami
დიზაინის პროექტი სურამის ბავშვთა სახლისთვის
. Khashuri Municipality
ხაშურის მუნიციპალიტეტი [illegible]
"Kapmsheni" Ltd
"კაპმშენი"

DATE
თარიღი 20-Sep-10

# მიღება ჩაბარების აქტი / ACCEPTANCE CERTIFICATE

| დასახელება | Contracted [illegible] | Actual Budgeted Works [illegible] | Additional Nondudgeted Works [illegible] | Corrected Works [illegible] | Total ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| | ლარი /GEL | ლარი /GEL | ლარი /GEL | ლარი /GEL | ლარი /GEL |
| ... პროექტი ... ბავშვთა სახლისთვის ... orphanage in Surami | 14,500.00 | 14,500.00 | | | 14,500.00 |
| | 14,500.00 | 14,500.00 | 0.00 | 0.00 | 14,500.00 |

[illegible] კონტრაქტორის მიერ [illegible] 100 % [illegible] კონტრაქტის 08/10/BV/EST/004
[illegible]
([illegible])

... 100% Completion of above listed works done by contractor and approves final payment release to the above-mentioned contractor according to the contract ...004
The undersigned confirm that
... performed contracted obligations and also all unanticipated and additional works. Hereby all contractual obligations have been met by the "Supplier". *(Not agreed additional works will not be paid)*

CHF-ის პროგრამის მენეჯერი
CHF Program Manager

CHF-ის ფინანსური განყოფილება
CHF Finance Department

CHF-ის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი
CHF Chief of Party

# ხელშეკრულება №...159...

## სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

ქ. ბათუმი „04" 11 2010 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის (თავი 2, მუხლი 10, პუნქტი 3, „ა" ქვეპუნქტი) და „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ" დებულების (მუხლი 23, პუნქტი 2, „ა" ქვეპუნქტი) შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო (შემდგომში „შემსყიდველი"), წარმოდგენილი აპარატის უფროსის ლევან ხოზრევანიძის სახით ერთი მხრივ და ს.ს. „აჭარკაპმშენი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის გია კახიანის სახით მეორე მხრივ, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, შეთანხმდით შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული, ქობულეთში, დაბა ჩაქვში ჭავჭავაძის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის სარემონტო – სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება საპროექტო დავალების შესაბამისად, რომელიც ხელშეკრულებას თან ერთვის.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე, „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, უზრუნველყოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული, ქობულეთში, დაბა ჩაქვში ჭავჭავაძის ქუჩა №13-ში მდებარე შენობის სარემონტო – სარეკონსტრუქციო სამუშაოების საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება (შემდგომში მომსახურება), ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი „მომსახურება" და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

### 2. მომსახურების გაწევის წესი, ვადები და ღირებულება

2.1. შესასყიდი „მომსახურების" გაწევა მოხდება, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან არაუგვიანეს 2010 წლის 25 ნოემბრამდე.

2.2. შესასყიდი „მომსახურების" გაწევა – მიწოდება მოხდება შემდეგ მისამართზე: ქალაქი ბათუმი, გრიბოედოვის ქუჩა №2ა.

2.3. შესრულებული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ სასაქონლო ზედნადებზე ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე შემსყიდველის კოორდინატორის ხელმოწერის (დამოწმების) შემდეგ.

2.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 38500 (ოცდათვრამეტიათას ხუთასი) ლარს.

### 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, ფაქტობრივად შესრულებული და მიღებული მომსახურების მოცულობის გათვალისწინებით, მხარეებს შორის მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, მიმწოდებლის მიერ სასაქონლო ზედნადების ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენიდან და შემსყიდველის კოორდინატორის მიერ ხელმოწერიდან (დამოწმებიდან) ათი დღის ვადაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

3.3. მიმწოდებელი" ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედნადებზე ან/და საგადასახადო ანგარიშფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

### 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. „მიმწოდებელი" ვალდებულია:

ა) გაუწიოს „შემსყიდველს" მომსახურება ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში;

ბ) უზრუნველყოს „შემსყიდველისათვის" მოთხოვნილი მომსახურების დროულად და ხარისხიანად შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

ინსპექტირების მიღებისთანავე უზრუნველყოს „მომსახურების" მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების დროულად და ხარისხიანად შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

4.2. „მიმწოდებელი" იძლევა გარანტიას შესრულებული „მომსახურების" ხარისხზე. შესრულებული „მომსახურების" ხარისხი, სტანდარტები, ტექნიკური პარამეტრები, ძირითადი მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში არსებულ წესებსა და ნორმებს. აღნიშნული პირობებიდან გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის მიმართ გამოიყენოს ამ ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

4.3. „მიმწოდებელს" უფლება აქვს მოითხოვოს ფაქტობრივად შესრულებული და ჩაბარებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში;

4.4. „შემსყიდველი" ვალდებულია მიიღოს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში.

4.5. „შემსყიდველს" უფლება აქვს:

ა) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში;

ბ) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" შესასყიდი მომსახურების ხარისხიანად და დროულად შესრულება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე;

გ) უარი განაცხადოს შესრულებული მომსახურების მიღებაზე თუ შესრულებული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს;

დ) მოითხოვოს „მიმწოდებლისაგან" მომსახურების მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული მომსახურების დროულად და ხარისხიანად შესრულება, დამატებითი დანახარჯის გაწევის გარეშე.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დარღვევის შემთხვევაში, ვადის გადამცილებელი მხარე ვალდებულია ყოველი გადაცილებული დღისათვის, მეორე მხარეს პირგასამტეხლოს სახით აუნაზღაუროს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.1%.

5.2. იმ შემთხვევაში, თუ გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5.3. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 6. ხელშეკრულების პირობების ინსპექტირება

6.1. „შემსყიდველს" უფლება აქვს, თავისი წარმომადგენლის (კოორდინატორის) მეშვეობით, ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

6.2. კოორდინატორი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს „მომსახურების" მიღება–ჩაბარება, მიღება–ჩაბარების დადასტურების მიზნით ხელი მოაწეროს მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილ სასაქონლო ზედნადებზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე და გააფორმოს მიღება – ჩაბარების აქტი;

ბ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა შესასრულებელი ან/და შესრულებული მომსახურების მოცულობის, ფასის, ხარისხისა და შესრულების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. თუ შესრულებული მომსახურება არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად;

გ) აწარმოოს და შეინახოს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველი პერიოდული დოკუმენტაცია;

დ) დაარეგულიროს ანგარიშსწორების პროცესი.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით, იგი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

### 10. დავათა განხილვის წესი

მხარეები ვალდებული არიან შეეცადონ ყოველგვარი დავა გადაჭრან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას ურთიერთშეთანხმების გზით, დავა განიხილება სასამართლოს მიერ.

### 11. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭო

მის: ქ. ბათუმი, გამსახურდიას ქ. №8
აჭარის არ. ფინანსთა და ეკონომიკის
სამინისტროს სახაზინო სამსახური
სახაზინო ანგარიშის №340801010300001
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 425 749
მიმღების ბანკი: სს „პროკრედიტ ბანკი"
ბათუმის ფილიალი
ბანკის კოდი: 220 101 901

„მიმწოდებელი"

ს.ს. „აჭარკაპმშენი"

მის: ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ანგარიშის № 121 359 400
მიმღების ბანკი: სს „საქართველოს
ბანკი" ცენტრალური ფილიალი
ბანკის კოდი: 220 101 502
საიდენტიფიკაციო კოდი: 245 423 778

აპარატის უფროსი

ლ. ხოზრევანიძე

დირექტორი

ზ. კახიანი

### 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელმოწერისა და სათანადო რეგისტრაციის შემდეგ.

7.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2010 წლის 31 დეკემბრამდე.

### 8. ზოგადი დებულებები

8.1. ხელშეკრულების პირობებში გადახედვა ან ცვლილება დაიშვება მხოლოდ ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების საფუძველზე.

8.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

8.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.4. „შემსყიდველს" შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ, თუ:

ა) „მიმწოდებელს" ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს „შემსყიდველს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება;

ბ) „მიმწოდებელს" არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;

გ) „შემსყიდველი"-სათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

8.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ურთიერთობები, რომლებიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, უნდა დარეგულირდეს საქართველოს კანონმდებლობით.

8.6. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოყენების შემთხვევაში ხელშეკრულება მოქმედებს ჯარიმის თანხის სრულად დაფარვის მომენტამდე, საბოლოო ანგარიშსწორებამდე.

8.7. მხარეები თანხმდებიან, რომ მომსახურების საერთო ღირებულება შეიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

8.8. მხარეები თანხმდებიან, რომ წინამდებარე ხელშეკრულების 2.4. პუნქტით განსაზღვრული ჯამური ღირებულება არის სავარაუდო და მისი მთლიანად აუთვისებლობის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს, აღნიშნულ შემთხვევაში ხელშეკრულების ჯამურ ღირებულებად ჩაითვლება ფაქტიურად ათვისებული თანხა, რაც ცალკე წერილობით შეთანხმებას აღარ საჭიროებს.

8.9. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლიარად და სამივე ეგზემპლარს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, აქედან ორი ეგზემპლარი ინახება „შემსყიდველთან", ხოლო მესამე ეგზემპლარი -„მიმწოდებელთან".

### 9. ფორს-მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება, „ფორს-მაჟორული" გარემოებების დადგომის გამო, არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციებს.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9.3. „ფორს-მაჟორული" გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით, აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან "ფორს-მაჟორული" გარემოებების ზეგავლენისაგან.

# ა ქ ტ ი

## საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარებაზე

ქ.ბათუმი 22 ნოემბერი 2010 წელი

**დამკვეთის დასახელება:** აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო

**პროექტის დასახელება:** ქობულეთის მუნიციპალიტეტის დაბა ჩაქვში ილია ჭავჭავაძის ქუჩა №13-ში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს შენობის რეკონსტრუქცია

**შესრულებულია:** ს.ს. „აჭარკაპმშენის" მიერ 2010 წლის 04 ნოემბრის №129 ხელშეკრულების საფუძველზე

**დაპროექტება განხორციელდა შემდეგ ვადებში:**

სამუშაოს დაწყება: 04 ნოემბერი 2010 წელი

სამუშაოს დამთავრება: 22 ნოემბერი 2010 წელი

| №№ რიგ | ხელშეკრულება | სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ლარი) | გადახდილია შეკვეთის ღირებულება (ლარი) | გადასახდელია შეკვეთის ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| 1 | 2010 წლის 04 ნოემბრის №129 ხელშეკრულება | 38500,00 | – | 38500,00 |
| | **ს უ ლ;** | 38500,00 | – | 38500,00 |

საპროექტო დოკუმენტაცია ჩააბარა:

ს.ს. „აჭარკაპმშენის"

დირექტორი:

გ.კახიანი

საპროექტო დოკუმენტაცია მიიღო:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატის

უფროსი:

ლ.ხოზრევანიძე

# მომსახურების ხელშეკრულება
## (პირდაპირი უზრუნველყოფა)

**1 - ხელშეკრულების მხარეები**

ებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ ქ. ბათუმში თურქეთის ლური საკონსულოსა (შემდეგში მოხსენიებულია როგორც ტრაცია) და მეორეს მხრივ კომპანია ს.ს. აჭარკაპმშენის (შემდეგში ნიებულია როგორც მენარდე) შორის, ქვემოთ მოცემული პირობების ისწინებით.

**2 - მხარეების რეკვიზიტები**

ნისტრაციის მისამართი: საქართველო/ბათუმი, ნინოშვილის ქ. № 9
74789, 74790
74789
ა: turkcons.batumi@mfa.gov.tr
არდის იურიდიული მისამართი: გრიბოედოვის ქ. № 2 ა
93206538

ა: giakakhiani@yahoo.com

არეები ადასტურებენ ამ მუხლის 2.1. და 2.2. პუნქტებში არსებული აციის უტყუარობას. მისამართების ან/და რეკვიზიტების ცვლილებისას, შესაბამისად მეორე მხარის გაუფრთხილებლობის შემთხვევაში, ბოლოს ულ მისამართზე გასაგზავნი შეტყობინება ჩაითვლება შესაბამისი თვის გაგზავნილ შეტყობინებად.

**3 - ხელშეკრულების საგანი**

ულების საგანია საქმე; საკონსულოს რეზიდენციის შენობის ტრუქცია-რემონტის საპროექტო (არქიტექტურული, სამშენებლო, ული, მექანიკური და სხვა) და სატენდერო დოკუმენტაციის (ტექნიკური ება, მასალების დადგენა და განმარტება, მეტრაჟი, მიახლოებითი ება) მომზადება ადმინისტრაციის მოთხოვნის შესაბამისად და ბრივი უწყებებიდან საჭირო ნებართვების აღება. აგრეთვე საქმის ი თვისებებთან და სხვა დეტალებთან დაკავშირებით გათვალისწინებულ მოქმედი ადგილობრივი კანონმდებლობა, ხელოვნების წესები და ულების დანართში მოცემული დოკუმენტაცია (დანართი 1, 2, 3).

**- სახელშეკრულებო ენა**

ულება შედგენილია ქართულ და თურქულ ენაზე, ხოლო ულების განმარტებებში საფუძვლად მიღებულ იქნება თურქული მიმოწერა შესრულდება ქართულ ენაზე.

5 - ხელშეკრულების ტიპი და ღირებულება

ული ხელშეკრულება იდება მენარდის მიერ საქმის მთლიანობისთვის ავაზებული დღგ-ს ჩათვლით 13.000 ა.შ.შ. დოლარის ლართან მიმართებაში ული კურსის მიხედვით.

6 - ხელშეკრულების ღირებულებაში შემავალი ხარჯები

ბულების შესრულებასთან დაკავშირებული ტრანსპორტის, დაზღვევის, სახადო, ხაზვის ხარჯები შედის ხელშეკრულების ღირებულებაში.

7 - ხელშეკრულების დანართები

თში მოცემული დოკუმენტაცია (დანართი 1-შესასრულებელი სამუშაოების თვალი, დან.2 პროექტის მონახაზი და დან.3 კომპანიის შემოთავაზება) ადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს, რომელიც აკავშირებს სტრაციას და მენარდეს.

8 - საქმის დაწყების და დასრულების თარიღი

ქმის დაწყების და დასრულების თარიღი: 16.07.2010-15.08.2010

მენარდე ვალდებულია 16.07.2010 თარიღიდან 30 დღის განმავლობაში ნოს ობიექტი ჩაბარებისთვის მზა მდგომარეობაში.

განსაზღვრული ვადა შეადგენს კალენდარულ დღეებს. ვადის ათვლისას, ვალისწინებელი უქმე დღეების გამო ვადის გაგრძელება არ მოხდება.

საქმის დროზე ადრე დასრულების შემთხვევაში, ადმინისტრაცია არ ოდება საქმის დასრულების თარიღს და დაიწყებს მიღება-ჩაბარების ცედურას.

9 - გადახდის პირობები

ნგარიშსწორება მოხდება საქმის დასრულების შემდეგ.

10 - ვადის გაგრძელების გარემოება და პირობები

გართულებების გარეშე, უნდა შესრულდეს მოცემულ ვადაში. ნისტრაციის მიერ საჭიროდ მიჩნეულ და მიღებულ გარემოებებში ლებელია ვადის გაგრძელება საქმის დასრულებისათვის.

11 - გარანტიის ვადა

ს დაწყებიდან სარემონტო სამუშაოების დასრულებამდე წარმოქმნილი ლო დეფექტი და ხარვეზები, რომელიც დაკავშირებულია პროექტთან ან რთვებთან უზრუნველყოფილ იქნება მენარდის მხრიდან.

12 - მენარდის კომპენსაციის და დაჯარიმების პასუხისმგებლობა

ლდებულების ფარგლებში, საქმის დასრულების და თანხმობის პროცედურის არების შემდეგაც კი აღმოჩენილი დეფექტიანი ან საპროექტო შეცდომის, ქტიკაში არა სწორი . გამოყენების, გამოცდილების ნაკლებობის,

რულების პირობების გაუთვალისწინებლად ვალდებულების შესრულების ავსი მიზეზების გამო, რომლებიც არ აკმაყოფილებენ სტანდარტებს, ულ ზარალსა და ზიანზე პასუხისმგებლობა ეკისრება უშუალოდ ეს. აღნიშნული ზარალისა და ზიანის ანაზღაურება და კომპენსირება ა მოქმედი ადგილობრივი კანონმდებლობის მიხედვით მენარდის მიერ.

**13 - მენარდის შემოწმება და მართვა:**

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ შემოწმებულ იქნება სრულდება თუ სამუშაო ხელშეკრულებაში და მის დანართებში მითითებული არტების (ხარისხი და თვისებები) მიხედვით.

მენარდე ვალდებული შეასრულოს აღებული საქმე, ხელშეკრულების, მისი თების, ზოგადი სტანდარტებისა და ხელოვნების წესების დაცვით. ულთან დაკავშირებით იმოქმედებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მიერ ული განკარგულებების შესაბამისად. აღებული საქმის ხელშეკრულების, ი და დადგენილი სტანდარტების შესაბამისად, ადმინისტრაციის ლეურეობის ქვეშ შესრულება არ ათავისუფლებს მენარდეს ნაკისრი ბულებებისა და პასუხისმგებლობისგან.

მენარდისა და შემმოწმებელს შორის უთანხმოებები და სხვა საკითხებთან ებაში საფუძვლად მიღებულ იქნება ადმინისტრაციის მოთხოვნები.

**14 - მენარდის ტექნიკურ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული ბები**

დე პასუხისმგებელი იქნება ზოგადად საქმისა და სამუშაოს რციელებისას მომხდარი შესაძლო უბედური შემთხვევების დროს ებულ ზარალზე.

**15 კონფიდენციალურობა**

რდემ, საიდუმლოდ უნდა შეინახოს საქმესთან დაკავშირებით მოპოვებული ა ინფორმაცია და დოკუმენტაცია და არ აუდა გამოაქვეყნოს ნებისმიერი ლი, გარდა ხელშეკრულების შესრულების მიზნებისათვის აუცილებელი მოებებისა. საქმის დასრულების შემდეგ, შესრულებულ სამუშაოსთან ვშირებული ყველა დოკუმენტი გადაეცემა ადმინისტრაციას. ნებისმიერი ზის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაშიც კი, უნდა შეასრულოს დებულება კონფიდენციალურობასთან დაკავშირებით.

**16 - სხვა საკითხები**

მინისტრაციის მხრიდან საჭიროდ ჩათვლის შემთხვევაში, ვალდებულების რულების დროს ხელშეკრულების დოკუმენტაციაში შესაძლებელია ორციელდეს ცვლილებები. მენარდე ვალდებულია შეასრულოს ყველა ლილება, რომელიც მას ეცნობება ადმინისტრაციის მიერ წერილობით. საქმის მატების შემთხვევაში, ადმინისტრაციისთვის აღნიშნულ ხელშეკრულებასთან ად დამატებითი ხელშეკრულების შედგენის საჭიროების შემთხვევაში

...ე ვალდებულია წარმოადგინოს ახალი შემოთავაზება, რომელიც ...ისწინებს ვადის გაგრძელებას.

**... 17 - გაუთვალისწინებელი გარემოებები**

...ულ ხელშეკრულებაში და მის დანართებში გაუთვალისწინებელი ...ოებები რეგულირდება შესაბამისი მოქმედი ადგილობრივი ...მდებლობით.

**... 18 - უთანხმოებების მოგვარება**

...ებს შორის წარმოქმნილი ყველა შესაძლო უთანხმოება, რომელიც ...შირებულია წინამდებარე ხელშეკრულებასთან და მის დანართებთან, ...ლება ბათუმის და ანკარის სასამართლოებში.

**... 19 - ხელშეკრულების მოქმედება**

...შეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან. 19 მუხლისგან ...არი ხელშეკრულება, ადმინისტრაციისა და მენარდის მხრიდან სრულად ...ბის და შეთანხმების შემდეგ 16.07.2010 წ. იქნება ხელმოწერილი, რომლის ... ასლი გადაეცემა მხარეებს.

| | |
|---|---|
| ...ნისტრაცია | მენარდე |
| ...უმში თურქეთის რესპუბლიკის ...ალური საკონსულო | ს.ს. აჭარკაპმშენი |

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის
მიღება-ჩაბარების აქტი

ბათუმი                                                                 7 ოქტომბერი 2010 წელი

**დამკვეთის დასახელება:** თურქეთის გენერალური საკონსულო ქბათუმში

**პროექტის დასახელება:** ქბათუმში თურქეთის გენერალური საკონსულოს შენობის კაპიტალური შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

**შესრულებულია:** ს.ს. „აჭარკაპმშენის" მიერ 2010 წლის 16 ივლისის ხელშეკრულების საფუძველზე

**სამუშაო განხორციელდა შემდეგ ვადებში:**

სამუშაოს დაწყება: 16 ივლისი 2010 წელი

სამუშაოს დამთავრება: 7 ოქტომბერი 2010 წელი

| №№ რიგ | 2010 წლის 16 ივლისის ხელშეკრულება | სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ლარი) | გადახდილია შეკვეთის ღირებულება (ლარი) | გადასახდელია შეკვეთის ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | ქბათუმში თურქეთის გენერალური საკონსულოს კაპიტალური შეკეთების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია | 23505,3 | – | 23505,3 |
| | ს უ ლ: | 23505,3 | – | 23505,3 |

ეროვნული ბანკის კურსი 1 $=1,8081 ლარი

სამუშაო ჩააბარა:

ს.ს. „აჭარკაპმშენის"

დირექტორი:

გია კახიანი

სამუშაო მიიღო:

თურქეთის რესპუბლიკის გენერალური

კონსული ქბათუმში

თუღრულ ერჯან ოზთური

# ხელშეკრულება N 41

ქ. ბათუმი,

14 თებერვალი 2011 წელი

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ერთის მხრივ, აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, მინისტრის პირველი მოადგილის აბესალომ გურგენიძის სახით (შემდგომში „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ ს.ს. „აჭარკავშირი", დირექტორის: გია კახიძის (შემდგომში მიმწოდებელი) შორის, იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა ელექტრონული ტენდერი ქ. ბათუმში, სოფელ ფერიაში მდებარე კავშირგაბმულობის ანძის ტექნიკური შენობის მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემადგენლობით) და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლის თანახმად მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს აღნიშნული მომსახურება 6400 (ექვსიათასოთხასი) ლარად.

## 1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

1.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

1.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

1.3 ამ მუხლის არცერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

1.4 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს აჭარის ა.რ. ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

ა) ზვიად ბურჭულაძე – ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსი;

ბ) თამაზ წულაძე – ქალაქმშენებლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

გ) სულხან მამუჭაძე – ურბანული განვითარების განყოფილების უფროსი;

დ) დავით მაკარაძე – ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების უფროსი;

ე) მირიან მეტრეველი – ზედამხედველობისა და მონიტორინგის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

## 2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

2.1 მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებიდან 2011 წლის 14 მარტისა უზრუნველყოს ქ. ბათუმში, სოფელ ფერიაში მდებარე კავშირგაბმულობის ანძის ტექნიკური შენობის მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო (საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემადგენლობით) და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა შემსყიდველისათვის.

## 3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

3.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

3.2 მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

## 4. ანგარიშსწორება

4.1 ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

4.2 შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად მიმწოდებლის მიერ დოკუმენტების წარმოდგენიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხორციელდება ლარებში.

## 5. ფასები

5.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

5.2 ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

5.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

5.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

5.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ის ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

## 6. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

6.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

6.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

6.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 7. უფლებების გადაცემა

7.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მესამე მხარეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები.

## 8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში, შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

8.2 თუ მიმწოდებელი არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა 0,15 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

8.3 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცილებით გადახდილი (ან გადასახდელი) პირგასამტეხლოს მთლიანი თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ს, ამ ხელშეკრულების მოქმედება ვადამდე შეწყდება.

## 9. ფორს-მაჟორი

9.1.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

9.1.2 ამ მუხლის მიზნებისათვის "ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.1.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. სადაო საკითხების გადაწყვეტა

10.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარის, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

10.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 11. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

11.1 მიმწოდებელი იძლევა ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.

11.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

## 12. გამოყენებული სამართალი

12.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 13. ხელშეკრულების ენა

13.1 ხელშეკრულება დაწერილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

## 14. გადასახადები და დაზღვევა

14.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებელების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

14.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

## 15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

## 16. სხვა პირობები

16.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

16.2 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

16.3 მისამართის ან მომსახურე ბანკის რეკვიზიტების შეცვლის შემთხვევაში მხარეები ვალდებულნი არიან 15 დღის განმავლობაში აცნობონ ერთმანეთს ამის შესახებ.

16.4 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

## 17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
| --- | --- |
| აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო | ს.ს. „აჭარკაპმშენი" |
| ტელ: (+995) (222) 7-35-10 | ტელ: 893 20-65-38 |
| მისამართი: ქ. ბათუმი, მ. კომახიძის ქუჩა N119 | მისამართი: ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქუჩა N2ა |
| საბანკო რეკვიზიტები: | საბანკო რეკვიზიტები: |
| ს.ს. „საქართველოს ბანკი" | ს.ს. „საქართველოს ბანკი" |
| ბანკის კოდი – BAGAGE22 | ბანკის კოდი – BAGAGE22 |
| ა/ნ – GE78BG0000000886744500 | ა/ნ – 121359400 |
| საიდენტიფიკაციო კოდი - 245429200 | საიდენტიფიკაციო კოდი - 245423778 |
| მინისტრის პირველი მოადგილე: | დირექტორი: |
| /ა. გურგენიძე/ ბ. ა. | /გ. კახიანი/ ბ. ა. |

ა ქ ტ ი

საპროექტო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარებაზე

ქბათუმი

14 მარტი 2011 წელი

დამკვეთის დასახელება: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო

პროექტის დასახელება: ქბათუმში, სოფელ ფერიაში მდებარე კავშირგაბმულობის ანძის ტექნიკური შენობის მშენებლობისა და ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია

შესრულებულია: ს.ს. „აჭარკაპმშენის" მიერ 2011 წლის 14 თებერვლის №41 ხელშეკრულების საფუძველზე

დაპროექტება განხორციელდა შემდეგ ვადებში:
სამუშაოს დაწყება: 14 თებერვალი 2011 წელი
სამუშაოს დამთავრება: 14 მარტი 2011 წელი

| №№ რიგ | ხელშეკრულება | სამუშაოს სახარჯთაღრიცხვო ღირებულება (ლარი) | გადახდილია შეკვეთის ღირებულება (ლარი) | გადასახდელია შეკვეთის ღირებულება (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 4 | 5 |
| | 2011 წლის 14 თებერვლის №41 ხელშეკრულება | 6400,00 | - | 6400,00 |
| | სულ: | 6400,00 | - | 6400,00 |

საპროექტო დოკუმენტაცია ჩააბარა:

ს.ს. „აჭარკაპმშენის" დირექტორი:

გ.კახიანი

საპროექტო დოკუმენტაცია მიიღო: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მატერიალური რესურსებით განყოფილების უფროსი:

რ. ქამამაძე

2.5. ხელშეკრულების აუცილებელი პირობები:

*2.5.1. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:*

ა) გამარჯვებულმა პრეტენდენტმა ხელშეკრულების დადებამდე უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% პროცენტის ოდენობით, დანართი №1–ის მიხედვით;

ბ) ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით გათვა-

*2.5.2. ანგარიშსწორების პირობა:*

ა) ანგარიშსწორების ფორმა - უნაღდო, ვალუტა - ლარი;

ბ) შესაძლებელია საავანსო ანგარიშსწორება, არა უმეტეს 50%-ისა, მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე. საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 60 (სამოცი) კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადას;

გ) ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და დღგ-ს ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენის შემდეგ 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის განმავლობაში.

*2.5.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა:*

ა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0,5 % პროცენტის ოდენობით;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

გ) საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;

დ) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

*2.5.4. მომსახურების ვადა:*

ა) კონკურსანტმა მომსახურება უნდა განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღისა.

***2.5.5.*** ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტი დაზუსტდება კონკურსში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში, გარდა საკონკურსო დოკუმენტაციის **2.5.** პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებისა.

პრეტენდენტის რეკვიზიტები

სამართლებრივი ფორმა: სააქციო საზოგადოება

საფირმო სახელწოდება: „აჭარკაპშენი"

იურიდიული მისამართი: ბათუმი, გენერალ ასლან აბაშიძის ქ.№24ა

ფაქტობრივი მისამართი: ბათუმი, გრიბოედოვის ქ.№2ა

საიდენტიფიკაციო კოდი: 245423778

ელექტრონული ფოსტის მისამართი: giakakhiani@yahoo.com

მიმღები ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი"

მომსახურე ბანკის მფო: BAGAGE22

ანგარიშსწორების ანგარიშის ნომერი: GE89BG0000000121359400

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირი: გია კახიანი

ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის

მობილური ტელეფონის ნომერი: 593 20 65 38

12 დეკემბერი 2011 წელი

ს.ს. „აჭარკაპშენის"

დირექტორი გია კახიანი